ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №52371

ნომერი: AR122050

თარიღი : 08.02.2012

გაცემის თარიღი : 17.02.2012

გაცნობის თარიღი : 22.02.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სასტუმრო "აკადემია"-სა და რესტორან "დელისი"-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კობა შამათავა პ/ნ 01024031355
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 26 ბ. 25

ორგანიზაცია:
- შპს ფორტაქს გრუპ კოდი: 206344543

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის
2012 წლის 05 იანვრის№01/17 ბრძანებასა და №6/17-1 სანებართვო მოწმობაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2012 წლის 05 იანვარს№01/17 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, (სექტორი ვაკე) სასტუმრო ,,აკადემიასა" და რესტორან ,დელისის" მიმდებარედ შპს ,,სტაროილის" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. №013/037) მშენებარე მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა შესაბამისი მშენებლობის ნებართვა (სანებართვო მოწმობა №6/17-1).

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 08 თებერვალს№AR122050 ელექტრონული განცხადებით მომართა შპს ,,ფორტაქს გრუპის" დირექტორმა კობა შამათავამ, რომელმაც მოითხოვა ზემოაღნიშნულ ბრძანებასა და სანებართვო მოწმობაში ცვლილების შეტანა დამკვეთის საფირმო სახელწოდების ცვლილების გამო, კერძოდ, შპს ,,ფორტაქს გრუპის" დაფიქსირება შპს ,,სტაროილის" ნაცვლად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად სამსახურმა გამოარკვია, რომ შპს ,,სტაროილის" პარტნიორის 2012 წლის 03 თებერვლის გადაწყვეტილებით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახელწოდება შეიცვალა სახელწოდება ,,ფორტაქს გრუპით", რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერითა (განცხადების რეგისტრაციის ნომერი: B12015951, განაცხადის ნომერი: 437129, მომზადების თარიღი: 06.02.2012) და იგივე (206344543) საიდენტიფიკაციო კოდით. ამდენად სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 05 იანვრის№01/17 ბრძანებასა და №6/17-1 სანებართვო მოწმობაში განხორციელდეს ცვლილება და დამკვეთად და მესაკუთრედ მითითებულ იქნეს შპს ,,ფორტაქს გრუპი".

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად

ვბრძანებ

1. შპს ,,ფორტაქს გრუპის" დირექტორის კობა შამათავას 2012 წლის 08 თებერვლის №AR122050 ელექტრონული განცხადების მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.

2. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 05 იანვრის №01/17 ბრძანებასა და №6/17-1 სანებართვო მოწმობაში და დამკვეთად და მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ მითითებულ იქნას შპს ,,ფორტაქს გრუპი".

3. აღნიშნული ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 05 იანვრის№01/17 ბრძანებასა და №6/17-1 სანებართვო მოწმობასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.